

აფილირების პოლიტიკა

1. აფილირების პოლიტიკა განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების ხედვას აფილირებული პერსონალის საქმიანობასა და აფილირების შეთანხმების ძირითად პრინციპებზე.
2. აკადემიური თანამდებობის პირს აფილირების სტატუსთან მიმართებით აქვს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. ამ სტატუსის მიუხედავად უნივერსიტეტის თითოეული წევრი თანაბრად მონაწილეობს უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მიზნების რეალიზებაში, მათ შორის, საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში.
3. უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას იღებს, რომ მასთან აფილირებულ პერსონალს სრულად აქვს გააზრებული აფილირების არსი და გაცნობიერებულად შეაქვს წვლილი უნივერსიტეტის განვითარებაში მისთვის დელეგირებული უფლებების ფარგლებში.
4. აფილირებულია აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მისი შედეგების ასოცირებას ახდენს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტთან. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შედეგების აფილირება, რომლებიც ხორციელდება კონსოლიდირებული რესურსების საშუალებით, შეიძლება დაზუსტდეს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული შეთანხმებით.
5. აფილირებული პერსონალი უფლებამოსილია მონაწილეობდეს აკადემიური ან წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში. შესაბამისი ნების გამოვლენა აისახება პერსონალის დატვირთვის სქემაში.
6. აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის აფილირების შეთანხმება ეფუძნება მხოლოდ წინამდებარე პოლიტიკის ორმხრივ გაზიარებას.
7. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირის სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების ან პოტენციალის გათვალისწინებით, მიაკუთვნოს იგი ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:
 - 7.1 საპატიო პროფესორი (HTH, Honorary Title Holders), უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან/და პროფესიული საქმიანობისთვის;
 - 7.2 აფილირებული მკვლევარი (Research Affiliate), რომელიც თავისი საქმიანობით ხელს უწყობს უნივერსიტეტის კვლევითი პროდუქტიულობის ამაღლებას; ანუ არის კვლევითი გრანტის მაძიებელი, პუბლიკაციის ან სხვა სახის კვლევის შედეგის ავტორი ან თანაავტორი;
 - 7.3 თანამოაზრე (ASV, Affiliate per Shared Values), რომელსაც ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ჯერ არ უკავია აკადემიური თანამდებობა, თუმცა მისი საქმიანობიდან გამომდინარე, მაგალითად როგორც დოქტორანტებისა თუ მაგისტრანტების თანახელმძღვანელს, ან საუნივერსიტეტო კვლევაში ჩართულ პირს, ესაჭიროება საუნივერსიტეტო კვლევით ინფრასტრუქტურასა და რესურსებთან დაშვება, და ამ მიზნით თანხმობა აქვს გაცხადებული საუნივერსიტეტო ღირებულებებისადმი ერთგულებაზე აფილირების პოლიტიკის დადასტურებით.